

ივანე ჯავახიშვილი

აჭარისტანი

ივანე ჯავახიშვილი

ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲢᲐᲜᲘ

წინათქმა დაურთო და ნაშრომი გამოსაცემად მოამზადა
ისტორიის დოქტორმა **ლევან ჯიქიამ**

სტამბა „ფავორიტი სტილი“
თბილისი 2023

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) ნაშრომი „აჭარისტანი“ პირველად ქვეყნდება.
განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ჯაბა სამუშია
ისტორიის დოქტორი, აკადემიკოსი

საქართველოს ეროვნული არქივი

იუსტიციის სამინისტრო

© ივ. ჯავახიშვილი, 2023

ISBN 978-9941-8-5896-3

„ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული... ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ის, უეჭველია იმავ დროს ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველ განათლებულ ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავის წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.

ივანე ჯავახიშვილი

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „აჭარისტანი“

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის სიმონ ჯანაშიას ფონდში[1] დაცულია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) გამოუქვეყნებელი ნაშრომი „აჭარისტანი“, რომელიც მოიცავს მანქანაზე ნაბეჭდ პატარა ფორმატის (19,5X13,5 სმ.) 25 გვერდს. ნაშრომის უკიდურეს ზედა მხარეს მეორე გვერდიდან ბოლო გვერდის ჩათვლით დახრილ ფრჩხილებში მოცემულია ნაშრომის სათაური „/აჭარისტანი/“.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის, „აჭარისტანის“ დედანი, ხელნაწერის სახით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმში ინახება (თსუმ-461, ხი-111). ხელნაწერი ალაგ-ალაგ ძნელად იკითხება, ფურცლები კი სიძველისგან გახუნებულია. ხელნაწერში, მანქანაზე ნაბეჭდი ვერსიისგან განსხვავებით, გვერდებზე დასათაურება არ გვხვდება.[2]

ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში ტერმინ „აჭარისტანს“ მხოლოდ ერთხელ იყენებს (სწორედ ამ ტერმინით იწყება თხრობა). ყველა სხვა შემთხვევაში ტერმინი „აჭარა“ არის გამოყენებული. ჩვენთვის უცნობია, ნაშრომის დასათაურება თავად ავტორს ეკუთვნის თუ ტექსტის რედაქტორს/რედაქტორებს.[3]

---

[1] ფონდი 2119, ანაწერი 1, საქმე 568.

[2] ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის ხელნაწერის ელექტრონული ვერსიის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს **ჯაბა სამუშიას**, თსუ ისტორიის მუზეუმის დირექტორს ქალბატონ **მაია გურაბანიძესა** და ამავე მუზეუმის დირექტორის მოადგილეს, ბატონ **დავით სართანიას**.

[3] მიუხედავად ამისა, ჩვენ ვეყრდნობით ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის მანქანაზე ნაბეჭდ ვერსიაში მოცემულ დასათაურებას.



აჭარა

/ძვ. ისტორია აჭარისტანი

ამ თემის ოსმალური სახელია, რომელიც ძველ ქართ. წყაროებში არსადა გვხვდება და მხოლოდ მსოფლიო ომის დასასრულს ჩნდება/ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის შავი ზღვის სანაპირო თემია. დასავლეთით შავი ზღვა აკრავს, ჩრდილოეთით რიხის მთის გაგრძელება, გურია-აჭარის მთები, საზღვრავენ, აღმოსავლეთით არსიანის ქედი აჭარას სამცხისაგან ჰყოფს, ხოლო სამხრეთით შავშეთის ქედი და მდ. ჭოროხი საზღვრავს. აჭარა და მის სამხრეთით მდებარე შავი ზღვის სანაპიროს ქართული თემები შავშეთი და კლარჯეთი ბუნებისაგან უხვად იყო და არის [illegible] დაჯილდოვებული. ზღვის რბილი, თითქმის სრულებით უზამთრო ჰავა, უხვი და მრავალფეროვანი მცენარეულობა, მთა-გორიანობის წყალობით მაღლობებზე და ფერდობებზე მზის უხვი მცხინვარება და სუფთა ჰაერი, ზღვის

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის,
„აჭარისტანის“ პირველი გვერდი.

ნაშრომის (აქ და ქვემოთ ნაშრომის მანქანაზე ნაბეჭდ ვერსიას განვიხილავთ) პირველი გვერდის ზედა მარცხენა კუთხეში ლურჯი ფერის კალმით არის შემდეგი მინაწერი: „შედარებულია ქ. ლომთათიძე“. აღნიშნული მინაწერი ადასტურებს, რომ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი გრამატიკულად ენათმეცნიერმა ქეთევან ლომთათიძემ გაასწორა, რადგან ნაშრომში მართლაც გვხვდება ცალკეული გრამატიკული ჩასწორებები. პირველ გვერდზე გვხვდება ჩასწორებები ლურჯი და წითელი ფერის კალმებით, ხოლო დანარჩენ გვერდებზე მხოლოდ წითელი ფერის კალმით.

ნაშრომის პირველ გვერდზე ტერმინი „აჭარისტანი“ გადახაზულია და ზედ ლურჯი ფერის კალმით მიწერილია სიტყვა „აჭარა“. აღნიშნული ჩასწორება ქ. ლომთათიძეს არ ეკუთვნის, რადგან მის კალიგრაფიას არ ემთხვევა. ლოგიკურად გაგვიჩნდა კითხვა, ეს ტერმინი ნაშრომში სიმონ ჯანაშიას ჩასწორებული ხომ არ იყო? ჩვენ შევადარეთ აღნიშნული კალიგრაფია სიმონ ჯანაშიას ხელნაწერების ასოთა მოხაზულობას, რომლის შემდეგაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ჩასწორება ნამდვილად სიმონ ჯანაშიას ეკუთვნის.

ამდენად, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „აჭარისტანი“ შეასწორეს ენათმეცნიერმა ქეთევან ლომთათიძემ და ისტორიკოსმა სიმონ ჯანაშიამ.

საინტერესოა, როდის დაასრულა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომზე მუშაობა? მართალია, ნაშრომს თარიღი არ უზის, მაგრამ ნაშრომის ბოლო გვერდის უკანა მხარეს შტამპზე არის მინაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ ნაშრომი 1933 წლის 20 აპრილს ჩაიბარა ვინმე თ. ანდღულაძემ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომზე მუშაობა 1933 წლის 20 აპრილამდე დაასრულა.

საინტერესოა ასევე ის, რომ ივანე ჯავახიშვილი ნაშრომის ბოლოს უთითებს გამოყენებულ ლიტერატურას, რომელთაგან ექვსი ნაშრომი თავად მას ეკუთვნის: „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“; „ქართველი ერის ისტორია, წიგნი I“; „ქართველი ერის ისტორია, წიგნი II“; „ქართველი ერის ისტორია, წიგნი

III"; „ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV"; „საქართველოს ეკონომიკური ისტორია".[4]

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „ქართველი ერის ისტორიის შესავალი", რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: „ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წ.1., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები", რომელიც 1950 წელს გამოიცა და „ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წ.2., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", რომელიც 1937 წელს არის გამოქვეყნებული.

ამდენად, ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეში გამოიცა „ქართველი ერის ისტორიის შესავლის" მხოლოდ მეორე ნაწილი, თუმცა ამ ნაშრომში აჭარაზე საუბარი არ არის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ივანე ჯავახიშვილი იმოწმებს ნაშრომის „ქართველი ერის ისტორიის შესავლის" გამოუქვეყნებელ ვერსიას (როგორც ვხედავთ, „ქართველი ერის ისტორიის შესავალს" ის ნაწილებად არ ჰყოფს).

„ქართველი ერის ისტორია, წ.1" 1908 წელს გამოიცა, „ქართველი ერის ისტორია, წ.2" – 1914 წელს, „ქართველი ერის ისტორია, წ.4. ნაწ.1: (XV საუკუნე)" კი – 1924 წელს. რაც შეეხება ნაშრომს „ქართველი ერის ისტორია: XIII-XIV ს.ს. წ.3", ის მეცნიერმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოსაცემად მოამზადა, თუმცა გამოიცა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1941 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ.

ანუ, ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეში „ქართველი ერის ისტორია: XIII-XIV ს.ს. წ.3", არ გამოქვეყნებულა. შესაბამისად, მეცნიერი ნაშრომში „აჭარისტანი", როგორც ჩანს, ამ წიგნის გამოუქვეყნებელ ვერსიას უთითებს.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს „საქართველოს ეკონომიკური ისტორია", ის 1912 წელს დაიბეჭდა.

---

[4] ივ. ჯავახიშვილი ასევე იმოწმებს ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომებს.

ამდენად, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ ნაშრომში „აჭარისტანი“ მითითებული მისივე ნაშრომების გამოცემის წლების ანალიზი არ ეწინააღმდეგება იმ თვალსაზრისს, რომ მეცნიერმა აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობა ნამდვილად 1933 წლის 20 აპრილამდე დაასრულა.

1933 წელს ენათმეცნიერი ქეთევან ლომთათიძე 22 წლის იყო, ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა, ამ დროს მისთვის ისეთი საპატიო მისია დაეკისრებინათ, როგორიც აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის გრამატიკულად შესწორება იყო. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქ. ლომთათიძემ და სიმონ ჯანაშიამ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის რედაქტირება გვიან განახორციელეს და, სავარაუდოდ, გამოსაცემად მოამზადეს, თუმცა, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, ნაშრომი არ გამოქვეყნებულა.

მაინც როდის უნდა მოეხდინათ ქეთევან ლომთათიძესა და სიმონ ჯანაშიას ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის რედაქტირება? ვვარაუდობთ, რომ ეს უნდა მომხდარიყო ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების, ანუ 1940 წლის 18 ნოემბრის შემდეგ. როგორც ვიცით, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია 1947 წლის 5 ნოემბერს გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქეთევან ლომთათიძემ და სიმონ ჯანაშიამ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის რედაქტირება 1940 წლის ბოლოსა და 1947 წლის 5 ნოემბერს შორის პერიოდში განახორციელეს.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში არაერთხელ შეეხო აჭარის თემას („ქართველი ერის ისტორია“; „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“; „საქართველოს ეკონომიკური ისტორია; „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა)“; „მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“; „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. I“; „ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები“ და სხვა). მიუხედავად ამისა, დღემდე არ გამოქვეყნებულა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი, რომელიც მხოლოდ აჭარაზე იქნებოდა კონცენტრირებული.

ზემოთ განხილული გარემოების გათვალისწინებით, აღნიშნული ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომთან მიმართებაში ლოგიკურად ჩნდება გარკვეული კითხვები:

1. რატომ არ გამოაქვეყნა მეცნიერმა ეს ნაშრომი?
2. რატომ ამთავრებს ის თხრობას 1878 წლით, ანუ აჭარის რუსეთის იმპერიასთან შეერთებით?
3. ვინ გადასცა ეს ნაშრომი გასასწორებლად ქეთევან ლომთათიძეს და როდის?
4. როგორ აღმოჩნდა ეს ნაშრომი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას პირად არქივში?

ამ კითხვებზე ცალსახა პასუხი, სამწუხაროდ, არ გვაქვს, შეიძლება მსჯელობა მხოლოდ ვარაუდის დონეზე.

ქვემოთ გთავაზობთ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი ნაშრომის, „აჭარისტანის“ ქეთევან ლომთათიძისა და სიმონ ჯანაშიას მიერ რედაქტირებულ ვერსიას.

დანართის სახით, ასევე, გთავაზობთ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის ხელნაწერს.

ლევან ჯიქია, ისტორიის დოქტორი

23 აპრილი, 2023 წელი

აჭარისტანი

აჭარა /ძვ. ისტორია აჭარისტანი იმ თემის ოსმალური სახელია, რომელიც ძველ ქართ. წყაროებში არსადა გვხვდება და მხოლოდ მსოფლიო ომის დასასრულს ჩნდება/ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის შავი ზღვის სანაპირო თემია. დასავლეთით აკრავს შავი ზღვა, ჩრდილოეთით ლიხის მთის გაგრძელება, გურია-აჭარის მთები, საზღვრავენ, აღმოსავლეთით არსიანის ქედი აჭარას სამცხისაგან ყოფს, ხოლო სამხრეთით შავშეთის ქედი და მდ. ჭოროხი საზღვრავს. აჭარა და მის სამხრეთით მდებარე შავი ზღვის სანაპიროს ქართული თემები შავშეთი და კლარჯეთი ბუნებისაგან უხვად იყო და არის ახლაც დაჯილდოვებული. ზღვის რბილი, თითქმის სრულებით უზამთრო ჰავა, უხვი და მრავალფეროვანი მცენარეულობა, მთა-გორიანობის წყალობით მაღლობებზე და ფერდობებზე მზის უხვი მცხინვარება და სუფთა ჰაერი, ზღვის სივრცე და სამხრეთით გადაჭიმული მესხეთ-ჭანეთის მთების ზაფხულშიც თოვლით შეკვერცხილი ქედი მთელ ამ კუთხეს მომჯადოებელ ქვეყნად ხდის. სამხრეთის სუბტროპიკული ჰავისა და ნიადაგის შესაფერისი თვისების წყალობით აქ ვაზისა და ჩვეულებრივი ხეხილის გარდა ლიგანისა და ზოგს სხვა ხეობებშიც ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი და ზეთის ხილიც ხარობდა და გავრცელებული იყო. აჭარა-შავშეთ-კლარჯეთის ერთად-ერთ ნაკლს მხოლოდ მეტის-მეტი მთაგორიანობა წარმოადგენდა, რომლის გამოც სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგი ფართო ადგილების სიმცირე ძველადაც საგრძნობი იყო. პირველად როდის და საიდან ჩნდება აქ თურინჯ-ნარინჯისა და ზეთისხილის კულტურა, ჯერ კიდევ დანამდვილებით გამორკვეული არ არის, მაგრამ XVII ს-ში მათი არსებობის შესახებ უტყუარი ცნობები მოგვეპოვება. აღსანიშნავია, რომ თუმცა ვახუშტს ამაზე არაფერი აქვს ნათქვამი, მაგრამ აჭარაში ბრინჯი მოურწყავადაც ხარობს. სახნავი მიწის სიმცირის გამო, ბრინჯის მოყვანას აჭარელნი მცირე ოდენობით მისდევენ, მაგრამ თავიანთი სამყოფი ყველა მეკომურს მოეპოვება.

აჭარის მოსახლეობა თავისი თემის მთების ტყით უხვად მოფენილობით სარგებლობდა და იქაურნი თურმე განთქმულნი ყოფილან, ვითარცა „კაცნი ჴელოვანნი ხის მუშავობითა“. ამის გარდა აჭარაში მესაქონელობასაც ჰქონია მნიშვნელობა და იქ განსაკუთრებული თვისების ყველიც უკეთებიათ, რომლის თითო კვერეული „იქნების 10, 15, 20 ლიტრა“-ო იმის მიუხედავად, რომ, ამ თემის ჰავისა და ნიადაგის მოჭარბებული ნოტიობის გამო, იქ სანოვაგის დიდხანს შენახვა ძნელი იყო და არის ახლაც, იქაური ყველის დიდ ღირსებას თურმე ის შეადგენდა, რომ იგი „არაოდესვე წარხდების, არცა დაობდების“ და მოხარშული ყოველთვის კარგი საჭმელი ყოფილა: „რა ჟამს გნებავს, შემგბარი, კეთილ სახმარ არს“-ო.

შავშეთ-კლარჯეთსა და აჭარას ძველად, მაგ. IX-ს ქ. შ. საქართველოსთვის ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისითაც ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან ქ. არტანუჯი ერთი იმ სავაჭრო ცენტრთაგანი იყო, სადაც მეზობელი და შორეული ქვეყნების ვაჭრები თავს იყრიდნენ ხოლმე და საიდანაც საქონელი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ. სამხრეთიდან მომავალი, თუმცა ვიწრო და საკმაოდ საძნელო, გზაც აქვე იყო.

ჯერეთ ცნობილ ძეგლთაგან აჭარის სახელი პირველად **სტეფანე მტბევარისაგან** 914-918 წ. დაწერილ გობრონის წამების აღწერილობაში გვხვდება. იქ აღნიშნულია, რომ არაბთა სარდლის აბულ კასიმის დროს „ურიცხუნი იგი ერნი მართლმადიდებელთანი **აჭარას** და შავშეთს შემწყუდეულ იყუნეს“. ბერძნულ წყაროებში არც სტრაბონს, არც არიანეს და პროკოპი კესარიელს აჭარის სახელი არ მოეპოვებათ მხოლოდ **კონსტანტინე პორფიროგენეტის** /X-ს./ ნაშრომში Deadministrando imperio-ს 46-ე თავში **აჭარის** წყალი /„η ποταμία του' Άτζαρα“. - ჰე პოტამია ტუ ატრარა“/ არის დასახელებული. ორსავე ზემოდასახელებულ ქართულსა და ბერძნულ წყაროში აჭარა ჩვეულებრივ, ყველასთვის ცნობილ სახელად არის ნაგულისხმევი, ამიტომ ის გარემოება, რომ ქ. შ. IX-ს-ზე უწინარესი ხანის არც ბერძნულსა და არც ქართულ წყაროებში ამ თემის სახელი **აჭარა** არსად გვხვდება, ძველი ქართული გადარჩენილი ძეგლების სიმცირითა და უცხოელთა

წყაროებში ქვეყნის დაწვრილებითი აღწერილობის უქონლობით უნდა აიხსნებოდეს. XI-XII ს ქართ. საისტორიო თხზულებებში აჭარა უკვე არა ერთგან გვხვდება, მაგრამ ყველა ამ ავტორს ამ თემზე ბევრი არაფერი მოეპოვებათ. ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები აჭარის შესახებ X-XIII ს.ს. წყაროებშიც ცოტა ჩანს. ნაწილობრივ ეს გარემოება, რა თქმა უნდა, წერილობითი ძეგლების დაღუპულობითაც აიხსნება, მაგრამ იმითაც, რომ ამ თემს ძველი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში იმდენად დიდი მონაწილეობა არ ჰქონია მიღებული, რამდენადაც სხვა თემების მოსახლეობას, რადგან ამ ხანაში საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ ცენტრს უკვე დაშორებული იყო. წყაროებისა და ცნობების სიმცირის გამო აჭარის პოლიტიკურ თავგადასავალზეც ცოტა რამე ვიცით. **სტრაბონის** და უფრო უწინარეს ხანაში აჭარის მიწა-წყალი კოლხეთის სამეფოს შემადგენელი თემი უნდა ყოფილიყო, რადგან ამ სამეფოს სახელმწიფო საზღვარი აჭარაზე გაცილებით უფრო სამხრეთით მდებარეობდა. რომაელთა ჰეგემონიის დამყარების შემდგომ, კოლხეთის სამეფოს მთლიანობა დაშლილა და, როგორც **ფლაბიოს არიანეს** ქ. შ. 134 წ. მოხსენებიდან ირკვევა, ოთხ სამეფოდ ქცეულა: ლაზთა, აფშილთა, აფხაზთა და სანიგების სამეფოებად. ლაზთა მოსახლეობის საზღვრებისდა მიხედვით, კლარჯეთი, შავშეთი და აჭარა სწორედ ლაზთა სამეფოს სამფლობელოს უნდა ჰკუთნებოდა. შემდეგ საუკუნეებშიც, როდესაც კოლხეთის მთლიანობა აღდგა და მის პოლიტიკურ სახელწოდებად უკვე ლაზიკა იქცა, აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი კვლავ ლაზიკის ფარგლებში იმყოფებოდა. VI ს-ში შავი ზღვის ამ სანაპირო თემებს ბიზანტიელთა და სპარსელთა პოლიტიკური ბრძოლის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. **პროკოპი კესარიელის** საისტორიო ნაშრომიდან ცხადი ხდება, რომ ათინიდან და რიზედან მოყოლებული უკვე ლაზის სამფლობელოში არ ყოფილა. მაშასადამე, ჭანეთი ლაზიკის სამეფოს არ ჰკუთვნებია, ჭანები დამოუკიდებელნი ყოფილან და ლაზიკის სამეფოსა და ჭანების მოსაზღვრე თემად უნდა კლარჯეთი ვიგულისხმოთ. იუსტინიანე კეისარმა ლაზიკაში

დანიშნული თავისი მოხელის იოანე ცივის რჩევით ერთი პეტრად სახელდებული დაბა ციხე-ქალაქად და ნავთსადგურად აქცია. ეს ნავთსადგური, რომელიც ბიზანტიის ამ ანგარი მოხელის თვითნებობით შემოღებული მონოპოლიური ვაჭრობის წყალობით, დას. საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის საბედისწერო შეიქმნა, რიონის სამხრეთით მდებარე შავი ზღვის სანაპიროზე იყო და როგორც ჩანს, აჭარის თემში ციხის-ძირსა და გონიას შუა მდებარეობდა. პროკოპი კესარიელს თუ დავუჯერებთ ამ ადგილას მანამდის თითქოს არასდროს მოსახლეობა არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელიცაა და იოანე ცივის მთელ კომერციულ გეგმასაც სრულ უგუნურებად ხდის, რადგან უდაბურ ადგილას ვაჭრობის მონოპოლიის ცენტრის შექმნა გაუგებარი ამბავი იქნებოდა. საფიქრებელია, რომ მოსახლეობა აქ იმავე მოარული სენის, სატლობის, მძვინარების წყალობით იქნებოდა შეთხელებული, რომელმაც ქართ. ისტორიკოსის **სუმბატ დავითის ძის** სიტყვით, შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალის თემების მოსახლეობის ძალზე შემცირება და გაუკაცრიელება გამოიწვია. ამ უბედურებას ზედ სპარს-ბიზანტიელთა ომიც დაერთო, რომლის დროსაც სამხედრო მოქმედების ასპარეზად სხვათაშორის ქ. პეტრას მახლობლად მდებარე ადგილები იყო. აჭარა-შავშეთ-კლარჯეთის გაუკაცრიელება, თუ მოსახლეობის მეტისმეტი შეთხელება ასეთ პირობებში სრულებით ბუნებრივი იყო. შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალის შესახებ ამ გარემოებას ქართ. ისტორიკოსები **გ. მერჩული** და **სუმბატ დავითის ძე** ერთ მხრივ ადასტურებენ. აჭარაზე ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ თავის მოსაზღვრე ზემოდასახელებული თემების ბედს, ცხადია ვერც ის აიცილებდა. **იოანე საბანისძის** ნაშრომიდან ირკვევა, რომ VIII ს-შიც უკვე აფხაზეთად სახელდებული დას. საქართველო, ანუ ლაზიკა კვლავ მდ. აფსარამდის ყოფილა გადაჭიმული, მაშასადამე აჭარა-შავშეთ-კლარჯეთიც ისევ ისე ლაზიკის სამეფოს მემკვიდრეს, აფხაზეთის სამთავროს ჰკუთვნებია. მაგრამ უკვე IX ს. დამდეგიდან მდგომარეობა შეცვლილა და კლარჯეთი და შავშეთი ბიზანტიის კეისრის მფარველობის ქვეშე მყოფი ტაოკლარჯეთის ქართ. ბაგრატუნიანების სამფლობელოდ ქცეულა. თუ მთლად

არა, აჭარის წყლამდის მაინც მათ ჰკუთნებიათ. უეჭველია ამავე ხანაში, VIII ს. დამლევიდან მოყოლებული კლარჯეთისა, შავშეთისა და გურიის მსგავსად, აჭარის წინასაუკუნეებში შეთხელებული მოსახლეობაც აღმ. საქართველოდან არაბთა მოხარკეობისა და მტარვალობისაგან თავისდამაღწეველი გადმოხიზნული ხალხით უნდა შევსებულიყო. ამიტომაა, რომ აჭარის მერმინდელი მკვიდრნი, გურულებთან ერთად ლაზურ-ქართლური მოსახლეობის შენარევ ტომს წარმოადგენენ და მათი მეტყველების საუნჯეს ძველი კოლხეთ-ლაზიკისა და ქართლის ოდინდელი კულტურის საგანძური აქვს დაცული.

საქართველოს ჯარის ძლევამოსილი ლაშქრობის წყალობით 1204 წ. დაარსებულ ბიზანტიის სამეფოსთან საქართველოს, მეტადრე მის მახლობელ თემს მესხეთსა და მესხეთის მთავრებს, შემდეგშიც უმჭიდროესი კავშირი ჰქონდა. XIII ს. აჭარას მონღოლთა ბატონობისა და თარეშისაგან თავი დაღწეული ჰქონდა და როგორც ეტყობა, ნარინ დავითის სამფლობელოს ეკუთვნოდა. ხშირი, დაბურული ტყეებით მოცული, იგი მონღოლებისათვის ძნელად გასავალს საშიშს თემს წარმოადგენდა. მონღოლთა ბატონობის წყალობით მოპოვებული უპირატესობით მესხეთის მთავრებმა ჯაყელებმა ისეთი გავლენა მოიპოვეს, რომ XIII ს. დამლევს ტრაპიზონის კეისარმა ალექსი II-მ /1297-1330 წ./ თანამეცხედრედ ბექას, ალბად ჯაყელის, ქალი შეირთო. ამ გარემოებას მესხეთის გავლენის გაძლიერებისათვის უფრო უნდა შეეწყო ხელი. პოლიტიკურ საქმეთა მიმდინარეობის შესახებ საქართველოს ამ ნაწილში XIV ს. განმავლობაში ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ ჯაყელების გვარის მესხეთის მთავარნი, XV ს-იდან განკერძოებისა გზაზე დამდგარნი და საქართველოს მეფისაგან ხელქვეშეთობისა ჩამოშორების მცუელნი, ამავე დროს ყოველგვარი საშუალებით თავიანთი სამფლობელოს საზღვრების გაფართოებაზედ ზრუნავდენ. ამის წყალობით XV ს-ში, როგორც ეტყობა, შავშეთ, კლარჯეთი და ჭანეთის ერთი ნაწილი მესხეთის მთავრებს სჭერიათ.

1460 წ. განსაცდელში ჩავარდნილი ყვარყვარე ათაბაგი, იძულებული ყოფილა მესხეთის ურჩ ერისთავთა წინაალმდეგ

ბრძოლაში დახმარებისათვის, აჭარა და სხვა თემები ჭანეთამდის კახაბერ გურიელისათვის დაეთმო. იერუსალიმელ-ანტიოქელი პატრიარქის მიხეილისაგან შედგენილ სასჯულო მცნებაშიც აჭარა და სამხრეთ-დასავლეთის, ჭოროხს ჩრდილოეთით მდებარე, სხვა თემები აფხაზეთის კათალიკოზს დაუმორჩილდა. ადმინისტრაციულად აჭარა იმას ექვემდებარებოდა, ვისაც გურიის ერისთავობა ეპყრა. XV ს. დაწყებული ოსმალეთის აღზევება და გასაოცარი სისწრაფით გაძლიერება ამავე საუკუნის მეორე ნახევარში გაერთიანებულის მაგიერ სამეფოებად და სამთავროებად დაშლილი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისათვის საბედისწერო შეიქმნა. პირველად მესხეთმა იგემა ოსმალთა დამპყრობელობითი პოლიტიკის შედეგი. რაკი ათაბაგებს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ძალა არ შესწევდათ, ამიტომ მზეჭაბუკ ათაბაგმა, XVI ს. დამდეგს მათთან დაზავება და მორჩილების გამოცხადება ირჩია. ამის გარდა მზეჭაბუკი ოსმალებს იმერეთში შესვლასაც დაეხმარა. თავისი სამფლობელოს გაფართოების განზრახვის უკეთესად განხორციელების იმედებიც ჰქონია. ოსმალებთან დაზავების შემდგომ, მზეჭაბუკი გურიელის სამთავროს თავს დაესხა, წაართვა „გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თვით“. რაკი ჭანეთიც ხელთ უგდია, ცხადია, რომ აჭარასთან ერთად შავშეთი და კლარჯეთიც მზეჭაბუკს დაუპყრია. მაგრამ ბაგრატ იმერეთის მეფემ ოსმალებისათვის დახმარების სამაგიერო მზეჭაბუკის შვილს ყვარყვარე ათაბაგს გადაუხადა, რომლის წინააღმდეგაც გურიელისა და დადიანის ჯარითურთ გაილაშქრა. 1535 წ. მურჯახეთში მომხდარი ძლიერი ბრძოლის დროს ყვარყვარე ათაბაგი დატყვევებულ იქმნა გურიელის მეწდის მიერ. ასეთი დახმარებისა და ღვაწლისათვის ბაგრატ მეფემ „მისცა გურიელს აჭარა და ჭანეთი“, რომელნიც მზეჭაბუკამდის წინათაც გურიელს ეკუთვნოდა. ასეთი წყალობისა და უფრო ნებართვის მიღების შემდეგ, „წარვიდა და დაიპყრა გურიელმან იგი“. ამნაირად აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და ჭანეთის ნაწილი კვლავ გურიელის სამთავროს შეუერთდა. ყვარყვარე ათაბაგის შვილმა ქაიხოსრომ ოსმალეთის სულტანს შველა სთხოვა და მანაც

თავისი ჯარი მოაშველა. პირველი დამხმარე ლაშქარი ბაგრატ მეფემ დაამარცხა, მაგრამ მეორედ, 1545 წ. მოსულ ოსმალთა უფრო მრავალრიცხოვანმა ჯარმა გაიმარჯვა: ამ ბრძოლაში ქაიხოსრო გურიელი მოიკლა, ხოლო ბაგრატ მეფე იძულებული იყო, ლტოლვილი, ქუთაისში დაბრუნებულიყო. მესხეთის ხელში ჩაგდების შემდგომ, ოსმალეთის ხონთქარმა თავისი ლაშქარი გურიას შეუსია, რომ ბაგრატის მოკავშირეებისათვის შური ეძია და გურიელისათვის აჭარა, შავშეთ-კლარჯეთსა და ჭანეთზე სამუდამოდ ხელი აეღებინებია. 1550 წ. ოსმალებმა „დაიპყრეს ქვეყანა ტაოსი სრულიად", ხოლო შემდეგ „დაიპყრეს არტანუჯი არსიანამდე". ამნაირად კლარჯეთი უკვე სულთანს ჰქონდა ხელში ჩაგდებული.

მერმე დასახული მიზნის განსახორციელებლად მოვიდა სპა „ხონთქარისა გურიასა ზედა" და დამარცხების შემდგომ „წაართვეს გურიელს ჭანეთი" და მაშინვე „დაუწყეს შენება ციხესა ბათომს". გურიელმა ოსმალთა შემოჭრის შეჩერება სცადა. და ოსმალთა ლაშქარს თავს დაესხა. ამ მოულოდნელი „თავდასხმით აოტნა ოსმალნი ხმელეთსა ზედა და მოსრნა იგინი". ხოლო გადარჩენილნი „შევიდნენ კატარღებთა შინა და განვიდნენ ჭოროხს იქით". რაკი იმ დროს ჭოროხი ადიდებული იყო და გურიელს ნავები არ ჰქონდა ამიტომ მან ოსმალთა დამარცხებული მოლაშქრეების დადევნება ველარ შესძლო. ასეთი ნაწილობრივი მარცხის შემდგომ, ოსმალებმა ამ მხარეს უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს და ამ ქვეყანაში ფეხის მტკიცედ მოსაკიდებლად „დაუწყეს შენება უმეტესად ციხესა გონიას". გურიელმა დადიანს ნავებითა და ჯარით მოშველიება სთხოვა, მაგრამ უკანასკნელმა დახმარება არ მოისურვა. ხოლო, რაკი გურიელს „ნავებითა თვისითა არა ძალედვა განსვლა გონიას და ბრძოლა ოსმალთა", ამიტომ მტრებს გეგმის განხორციელება სრულებით დაუბრკოლებლივ შეეძლოთ. მართლაც „ოსმალთა აღაშენეს ციხე გონია" და ამის შემდგომ „შემოვიდნენ, ამოსწყვიტნეს და მოსტყვევნნეს ჭანეთი და აჭარა და დაიპყრეს თავისად". მაგრამ მანუჩარ ათაბაგის დროს, 1609 წ. გურიის მთავარმა დაკარგული თემის უკან დაბრუნება სცადა: „შეესია

გურიელი მამია“ „შევიდა აჭარას, მოსწყვედნა ოსმალნი და დაიპყრა თვითვე კვალად აჭარა“. მხოლოდ მალე მდგომარეობა კვლავ შეიცვალა. უკვე 1723 წ. ოსმალებმა ფოთის ხელში ჩაგდება მოახერხეს, იქ ციხე ააშენეს, რომელიც 42 დიდი საციხო თოფით შეაიარაღეს. ამით აჭარის ბედიც თავის და თავად გადაწყვეტილი იყო: საქართველოს ეს თემი კვლავ ოსმალეთს ჩაუვარდა ხელში. ოსმალეთს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამარჯვების მოპოვება მარტო სამხედრო ძლევამოსილობით არ ჰრგებია. მან დასახული მიზნის მისაღწევად სარწმუნოებრივი იარაღი და უფრო მეტად სოციალური ფაქტორიც გამოიყენა. მას შემდგომ, რაც ოსმალებმა მესხეთში ფეხი შედგეს და ამ ქვეყნის მთავარი ათაბაგი იძულებული იყო ეს ათაბაგობა ხონთქრისაგან მიეღო, 1625 წლამდის ოსმალეთის სულტნები თანამდებობაზე დამტკიცების დროს, ქრისტიანობის უარისყოფას არ სთხოვდენ. მაგ. მანუჩარ II-სათვის 1588 წ. „მოეცა ხონთქარსაც ქრისტიანობით ათაბაგობა“ მით „შეიწყნარა ხონთქარმან, მოსცა ქრისტიანობით ათაბაგობა და წარმოავლინა“ თავის სამფლობელოში. მაგრამ მისმა ბიძამ, ბექამ მანუჩარი მოწამლით წუთისოფელს გამოასალმა, ხოლო, „თვით მოვიდა სტამბოლს და ამის წყალობით 1625 წ. ათაბაგობა მიიღო. ამ დროიდან მოყოლებული მესხეთის პოლიტიკური მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. ათაბაგის მაგიერ მესხეთის მთავარი ამიერიდან ახალციხის ფაშად იქნა სახელდებული, ფაშობის მისაღებად — კი მაჰმადიანობა იყო საჭირო. ამ ქვეყნის ადმინისტრაციული ერთეულების სახელებიც შეიცვალა: თემის მაგიერ სანჯახის სახელი შემოვიდა ფაშას ხელქვეშეთი მოხელეების სახელად — ბეგის ალაიბეგის, სანჯახბეგის და აღასისა. რაკი თანამდებობის მისაღებად გზას საუკეთესოდ ქრისტიანობის უარყოფა და გამაჰმადიანება უკაფავდა, ამიტომ ქვეყნის მმართველის, ფაშის, გამაჰმადიანებას, სხვა ადმინისტრაციულ მოხელეთა გამაჰმადიანება მოჰყვა. ამან მესხეთის მაღალი წრე, აზნაურობა, გათურქების გზაზე დააყენა, რადგან მაჰმადიანებასთან ერთად ქართულს თურქულისათვის უნდა დაეთმო თანდათან ასპარეზი. ოსმალეთის ხონთქარმა აჭარა ადმინისტრაციულად ახალციხის

ფაშას დაუქვემდებარეს და აჭარის ბეგი მის ხელქვეითად აქციეს. მესხეთსა და კერძოდ აჭარაშიც ქრისტიანობასა და ქართულ ეროვნულ სახეს საშუალო გლეხთა ფენაღა იცავდა. მაგრამ მამაპაპეული რწმენის შეცვლასა და მაჰმადიანობის გავრცელებას გლეხთა შორის სოციალურმა უსწორმასწორობამ შეუწყო ხელი. ოსმალეთის მთავრობამ მესხეთის მაღალი წრის გავლენის შესასუსტებლად და თავიანთთვის ერთგულების შესაქმნელად, დაუწყეს „წარჩინებულთა მესხთა შემცირებად და ამაღლებად უგვანთა და უგვაროთა“. XVIII ს. დამდეგს თუ ქრისტიანობა უმთავრესად ვაჭართა და გლეხთა შორის იყოლა შერჩენილი, ამ დროიდან მოყოლებული მაჰმადიანობამ გლეხთა შორისაც მოიკიდა ფეხი. მაჰმადიანობის გავრცელებას იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ გამაჰმადიანებისთანავე გლეხის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდებოდა. თუ გამაჰმადიანებამდის ისინი ყმებად იყვნენ, სჯულის გამოცვლის შემდგომ, მათი მებატონენიცა და მოხელეებიც „ხარკთაგან კიდე ვერარას ავნებდენ გლეხთა“. ქართველ ქრისტიან გლეხთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის მესხეთში გამაჰმადიანებისთანავე ასეთმა საგრძნობმა გაუმჯობესებამ მაჰმადიანების მოძღვრებას არამცთუ აქაურ მოსახლეობაში გაუკაფა გზა, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც, მაგ. ქართლიდან, სომხეთიდან და იმერეთიდან ტყვედ გაყიდულთაგან გადმოდიოდენ მესხეთში და „სახლდებოდიან აქა და უმეტესად ჯავახეთს-აო“. მაგრამ საქართველოს ამ თემების გამაჰმადიანებამ იქაურ ყოფა-ცხოვრებას თავის დაღი დაასვა. ხუროთმოძღვრება, ქანდაკება, მხატვრობა, რომლის საუცხოვო ძველი ნიმუშები ეხლაც არის გადარჩენილი, მოისპო მაჰმადიანთათვის მეღვინეობის აკრძალულობის გამო მევენახეობაც წამახალისებელი საფუძველი გამოეცალა და დაქვეითდა. მხოლოდ ძველის ძველი ქვის საწნახლებისა და ქვევრების ნაშთების მიხედვით შეუძლია ადამიანს წარმოიდგინოს, რომ წინათ მევენახეობასა და მეღვინეობას აქაც დიდი ყურადღება ჰქონდა მიპყრობილი. ოსმალთა ხანგრძლივმა ბატონობამ ეს კუთხე მარტო ეროვნულ-

კულტურულად კი არა, არამედ ეკონომიურად დააქვეითა. ბათომი დაბად-ღა იყო ქცეული და 1878 წ.-მდის, როდესაც რუსეთის ჯარმა ბათომი და მისი ოლქი ოსმალეთს ჩამოართვა, ბათომის მცხოვრებთა ორივე სქესის რიცხვი 3000 არ აღემატებოდა.

წყაროები: ივ. ჯავახიშვილი „ქართ. ერის ისტორიის შესავალი" და „ქართ. ერის ისტორიის" I, II, III და IV წიგნები; მისივე „საქ. ეკონ. ისტორია" I^2; **ეგნატაშვილი ბერი** „ახალი ქართლის ცხოვრ." და **ვახუშტის:** „გეოგრაფია" და „საქ. ისტორია".

ივ. ჯავახიშვილი.

დანართი

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „აჭარისტანი“ /ხელნაწერი/






40



antini Porphyrogeniti De
adminis. imp. c. 46, ed. Bonn
p. 206). [illegible]

[illegible]






45

[illegible]












52


53













[illegible]







[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]








78

[illegible]







84





ნაშრომში მოხსენიებულ პირთა
შესახებ მცირე ინფორმაცია

ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1784) - ქართველი ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შვილი. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ბერი ეგნატაშვილი (XVIII ს.) - ქართველი ისტორიკოსი, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი „სწავლულ კაცთა კომისიის“ წევრი, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი.

სტეფანე მტბევარი (X ს.) - ტბეთის ეპისკოპოსი, თეოლოგი. მის კალამს ეკუთვნის ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი“, რომელიც მან 914-918 წლებში დაწერა.

აბულ კასიმი (IX ს-ის მეორე ნახევარი-X ს-ის 20-იანი წლები) - არაბი სარდალი, რომელმაც 914 წელს საქართველოში ილაშქრა, აიღო უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები, ააოხრა ქართლი, სამცხე, ჯავახეთი, სიკვდილით დასაჯა ყველისციხის დამცველთა მეთაური გობრონი.

სტრაბონი (ძვ. წ. 64-ახ. წ. 23 წ.) — ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი.

ფლავიუს არიანე (95-175) — ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი.

პროკოპი კესარიელი (507-562) — ბიზანტიელი ისტორიკოსი, იურისტი და დიპლომატი.

კონსტანტინე პორფიროგენეტი (905-959) — ბიზანტიის იმპერატორი 913-920 და 945-959 წლებში. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე წიგნი, მათ შორის „ბიზანტიის იმპერიის ისტორია“.

იუსტინიანე კეისარი (482-565) — ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში.

იოანე ცივი (VI ს.) — ბიზანტიელი სარდალი, რომელიც იუსტინიანე კეისარმა ლაზიკაში თავის მოხელედ დანიშნა.

სუმბატ დავითის ძე (XI ს.) — ქართველი ისტორიკოსი (ბაგრატიონი), რომელმაც დაწერა ნაშრომი „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა ჩუენ ქართუელთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანი რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“.

გიორგი მერჩულე (X ს.) — ქართველი მწერალი, რომლის კალამს ეკუთვნის ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

იოანე საბანისძე (VIII ს.) — ქართველი მწერალი, რომლის კალამს ეკუთვნის ჰაგიოგრაფიული თხზულება „აბო თბილელის წამება“.

დავით ნარინი (1225-1293) — საქართველოს მეფის რუსუდანის (1223-1245) შვილი, იგივე დავით VI. ის იყო ერთიანი საქართველოს მეფე დავით ლაშა გიორგის ძესთან ერთად 1247-1259 წლებში. 1259 წელს დავით ნარინი აუჯანყდა მონღოლებს, დამარცხდა და გადავიდა დასავლეთ საქართველოში, ამ დროიდან ის მხოლოდ დასავლეთ საქართველოში მეფობს.

ალექსი კეისარი (1283-1330) — იგივე ალექსი II დიდი კომნენოსი, ტრაპიზონის იმპერიის კეისარი 1297-1330 წლებში.

ბექა ჯაყელი (1240-1306) — იგივე ბექა I ჯაყელი, სამცხის მმართველი 1285-1306 წლებში.

ყვარყვარე ათაბაგი (1416-1498) - იგივე ყვარყვარე II ჯაყელი, სამცხის ათაბაგი 1451-1498 წლებში.

კახაბერ გურიელი (XV ს.) - იგივე კახაბერ II გურიელი, გურიის მთავარი.

იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქი მიხეილი (XV ს.) - იგივე ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი, რომელიც XV ს-ის ბოლოს ჩამოვიდა საქართველოში. მან შეადგინა „მცნებაჲ სასჯულოჲ“.

მზეჭაბუკ ათაბაგი (XV ს.-1516 წ.) - იგივე მზეჭაბუკ ჯაყელი, სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1500-1515 წლებში.

ბაგრატ იმერეთის მეფე (1495-1565) - იგივე იმერეთის მეფე ბაგრატ III , რომელიც მეფობდა 1510-1565 წლებში.

მანუჩარ II (XVI ს-ის მეორე ნახევარი-1614 წ.) - იგივე მანუჩარ II ჯაყელი, რომელიც სამცხის ათაბაგი იყო 1581-1614 წლებში.

სარჩევი

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „აჭარისტანი“ 7

აჭარისტანი 13

დანართი.......... 25

ნაშრომში მოხსენიებულ პირთა შესახებ მცირე ინფორმაცია.. 65

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის